

წაკითხულის გააზრება და ანალიტიკური წერა

დღეს გამოცდა ჩატარდება წაკითხულის გააზრებასა და ანალიტიკურ წერაში.

1. წაკითხულის გააზრების ნაწილი შედგება სამი ტექსტისა და 21 ტესტური დავალებისაგან.
ტესტის ამ ნაწილის მაქსიმალური ქულაა 21.

სწორი პასუხის გაცემისათვის იწერება 1 ქულა.

თუ არცერთი პასუხი არ არის მონიშნული, იწერება 0 ქულა.

არასწორი პასუხისათვის აკლდება 0,2 ქულა (ანუ იწერება -0,2 ქულა).

ტესტის ამ ნაწილის შესასრულებლად გეძლევათ 1 საათი და 15 წუთი.

2. ანალიტიკური წერის ნაწილი შედგება ორი დავალებისაგან:
ტესტის ამ ნაწილის მაქსიმალური ქულაა 20.
თითოეული დავალების მაქსიმალური ქულაა 10.
ტესტის ამ ნაწილის შესასრულებლად გეძლევათ 1 საათი და 10 წუთი.

გისურვებთ წარმატებას!

წაკითხულის გააზრება

A ტიპის ტესტი

21 შეკითხვა

დრო – 1 სთ 15 წთ

ტექსტი A

ალტრუიზმი არის ადამიანის მოხალისეობრივი სურვილი, დაეხმაროს სხვას ჯილდოს მოლოდინის გარეშე; პროსოციალური ქცევა კი ბევრად ფართო ტერმინია და მოიცავს ნებისმიერ დახმარებას მოტივაციის მიუხედავად.

ევოლუციური-ბიოლოგიური მიდგომის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ სხვისი დახმარების ტენდენციას შეიძლება დიდი ღირებულება ჰქონდეს არა უშუალოდ ამ ქცევის განმახორციელებელი ინდივიდისათვის, არამედ მისი სახეობის, შთამომავლობის გადარჩენისთვის. დახმარების ქცევა, როგორც გადარჩენისთვის ღირებული, ნებისმიერი სხვა, გენეტიკურად განსაზღვრული მახასიათებელი, შთამომავლობას გადაეცემა.

ევოლუციურ-ბიოლოგიური მიდგომის კრიტიკოსები ამტკიცებენ, რომ სოციალური ფაქტორები ბიოლოგიურზე უფრო მეტად განსაზღვრავს ადამიანის პროსოციალურ ქცევებს. **დონალდ კემბელის** მიხედვით, გენეტიკის საფუძველზე შეიძლება ავხსნათ ისეთი პროსოციალური ქცევა, როგორიცაა მშობლის შვილისადმი მზრუნველობა, მაგრამ ის ვერ ხსნის გასაჭირში მყოფი უცნობის დახმარების შემთხვევებს. სოციო-კულტურული მიდგომის წარმომადგენელთა მიხედვით, ამისი ახსნა შესაძლებელია „სოციალური ევოლუციით“; ადამიანთა საზოგადოებამ თანდათან და შერჩევით შეიძინა ისეთი უნარები და წარმოდგენები, რომლებიც ჯგუფების კეთილდღეობას უწყობს ხელს. რადგან პროსოციალურ ქცევას სოციუმისათვის მოაქვს სარგებელი, ის სოციალური წესებისა და ნორმების ნაწილი გახდა.

ადამიანების საზოგადოებაში სამი ძირითადი სოციალური ნორმაა დამკვიდრებული. პირველი, *სოციალური პასუხისმგებლობის* ნორმა, გულისხმობს იმის დახმარებას, ვინც ჩვენზეა დამოკიდებული. მეორეა *მიგების ნორმა*, რომლის მიხედვით, ვეხმარებით მას, ვინც ჩვენ გვეხმარება. მესამე, *სოციალური სამართლიანობის ნორმა*, გულისხმობს რესურსების სამართლიანად განაწილებას. შესაძლოა, სწორედ სამართლიანი სიტუაციის შექმნის სურვილით არის განპირობებული „ნაკლებად ილბლიანების“ დახმარება. ეს სამი ნორმა ქმნის პროსოციალური ქცევის კულტურულ საფუძველს. სოციალიზაციის პროცესში ადამიანები სწავლობენ ამ წესებს და მათი გათვალისწინებით იქცევიან.

ტექსტის გაგრძელება ->

ტექსტი A	შეკითხვა 1	შეკითხვა 2	შეკითხვა 3	შეკითხვა 4	შეკითხვა 5	შეკითხვა 6	შეკითხვა 7
----------	------------	------------	------------	------------	------------	------------	------------

მესამე მიდგომა - დასწავლის თეორია - ხაზს უსვამს დახმარების დასწავლის მნიშვნელობას. კვლევები ნათლად გვიჩვენებს, რომ მიზანმიმართულ და განმტკიცებას დიდი გავლენა აქვს პროსოციალური ქცევის ჩამოყალიბებაზე. ბავშვის პროსოციალური ქცევა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული გარედან მიღებულ ჯილდოსა და სოციალურ მოწონებაზე. დროთა განმავლობაში ადამიანს უვითარდება სხვისი დახმარების ჩვევა და ის სწავლობს წესებს, თუ ვის და როდის უნდა დაეხმაროს. ასაკის მატებასთან ერთად ადამიანი ითავისებს, იშინაგნებს სხვისი დახმარების ქცევას, როგორც ღირებულებას, და ის აღარ არის დამოკიდებული გარეგან წახალისებაზე; მისთვის საკმარისია იმის გაცნობიერება, რომ კეთილი საქმე გააკეთა.

ხანდახან დახმარების საჭიროება აშკარაა, განსაკუთრებით - ექსტრემალურ სიტუაციებში. ამ დროს დახმარება, როგორც წესი, სპონტანური და ნაჩქარევია. თუმცა ბევრ შემთხვევაში დახმარების გადაწყვეტილების მიღება საკმაოდ რთული პროცესის შედეგია. დახმარების გადაწყვეტილების მიღების მიხედვით, ადამიანი ჯერ იღებს გადაწყვეტილებას, დაეხმაროს სხვას და შემდეგ ახორციელებს შესაბამის ქცევას. პირველ რიგში ადამიანმა უნდა შენიშნოს, რომ რაღაც ხდება და გადაწყვიტოს, რომ საჭიროა დახმარება. ამის შემდეგ ის განიხილავს, თუ რამდენად არის მისი პირადი პასუხისმგებლობა დახმარების გაწევა. შემდეგ ის აფასებს იმ „დანაკარგს“ და „სარგებელს“, რაც დახმარების გაწევას, თუ არაგაწევას, შეიძლება მოჰყვეს. დაბოლოს, ადამიანმა უნდა განსაზღვროს, კონკრეტულად რა სახის დახმარების გაწევაა საჭირო და როგორ უნდა განახორციელოს ის.

კიდევ ერთი მიდგომის, ატრიბუციის თეორიის თანახმად, ადამიანი დახმარების გადაწყვეტილებას იღებს იმის მიხედვით, იმსახურებს თუ არა რთულ სიტუაციაში მყოფი ინდივიდი დახმარებას. როგორც წესი, მეტ თანადგომას იჩენენ იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც პრობლემურ სიტუაციაში თავისდაუნებურად, შემთხვევით ხვდებიან, ხოლო გულგრილობას იჩენენ მათ მიმართ, რომლებიც თავად არიან პასუხისმგებელნი შექმნილ ვითარებაზე.

ტექსტი A	შეკითხვა 1	შეკითხვა 2	შეკითხვა 3	შეკითხვა 4	შეკითხვა 5	შეკითხვა 6	შეკითხვა 7
----------	------------	------------	------------	------------	------------	------------	------------

1. ჩამოთვლილთაგან რომელი გამომდინარეობს ტექსტიდან?

- (ა) პროსოდიური ქცევა ალტრუისტული ქცევის კონკრეტული სახეა.
- (ბ) მკვლევრები თანხმდებიან, რომ ნებისმიერი პროსოდიური ქცევის ახსნა ბიოლოგიური ფაქტორებითაა შესაძლებელი.
- (გ) პროსოდიური ქცევის განხორციელების მთავარი მექანიზმი გარედან მიღებული მატერიალური სარგებელია.
- (დ) ქცევა მხოლოდ მაშინ არის პროსოდიური, როდესაც გადაწყვეტილება მისი განხორციელების შესახებ სპონტანურად მიიღება.
- (ე) პროსოდიური ქცევის განხორციელება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ აფასებს ადამიანი ინდივიდის რთულ სიტუაციაში ჩავარდნის მიზეზებს.

ტექსტი A	შეკითხვა 1	შეკითხვა 2	შეკითხვა 3	შეკითხვა 4	შეკითხვა 5	შეკითხვა 6	შეკითხვა 7
----------	------------	------------	------------	------------	------------	------------	------------

2. ჩამოთვლილთაგან რომელი შეიძლება აიხსნას დასწავლის თეორიის მიხედვით?
- (ა) ადამიანი საკუთარი ოჯახის წევრებს უფრო ხშირად ეხმარება, ვიდრე უცხოებს.
 - (ბ) ადამიანი უფრო ხშირად იმათ ეხმარება, ვისგანაც თავად აქვს მიღებული დახმარება.
 - (გ) ბავშვები, რომლებსაც გულუხვობისთვის ხშირად აქებენ, უფრო გულუხვი არიან ხოლმე სხვა ბავშვების მიმართ.
 - (დ) სტუდენტები უფრო ხშირად იმ თანაკურსელებს უწევენ დახმარებას, რომლებსაც სწავლაში პრობლემა ავადმყოფობის გამო შეექმნათ.
 - (ე) დედა, რომელიც ცდილობს შვილს მოულოდნელი საფრთხე აარიდოს, დაფიქრების გარეშე მოქმედებს.

ტექსტი A	შეკითხვა 1	შეკითხვა 2	შეკითხვა 3	შეკითხვა 4	შეკითხვა 5	შეკითხვა 6	შეკითხვა 7
----------	------------	------------	------------	------------	------------	------------	------------

3. ტექსტის მიხედვით, ჩამოთვლილი მიდგომებიდან რომელია ჩამოყალიბებული სწორად?
- (ა) ევოლუციურ-ბიოლოგიური მიდგომით აიხსნება ის, თუ რატომ უწევენ დახმარებას ადამიანები უცხოებს.
 - (ბ) დასწავლის თეორია აანალიზებს ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენს დახმარების ქცევის გადაწყვეტილებაზე.
 - (გ) სოციო-კულტურული მიდგომა აანალიზებს პროსოციალური ქცევის დასწავლის კონკრეტულ მექანიზმებს.
 - (დ) ევოლუციურ-ბიოლოგიური მიდგომის მიხედვით, დახმარების ქცევა ადამიანის გენეტიკისა და ევოლუციური მემკვიდრეობის ნაწილია.
 - (ე) ატრიბუციის თეორიის მიხედვით, ინდივიდის მიერ სხვისადმი გაწეული დახმარების კომპენსაცია სხვებისაგან მიღებული დახმარებით ხდება.

ტექსტი A	შეკითხვა 1	შეკითხვა 2	შეკითხვა 3	შეკითხვა 4	შეკითხვა 5	შეკითხვა 6	შეკითხვა 7
----------	------------	------------	------------	------------	------------	------------	------------

4. ჩამოთვლილთაგან რომელია მცდარი?

- (ა) ევოლუციურ-ბიოლოგიური მიდგომის მიხედვით, პროსოციალური ქცევა ბიოლოგიური ევოლუციის შედეგია, სოციო-კულტურული მიდგომის მიხედვით კი - სოციალური ევოლუციის.
- (ბ) როგორც გადაწყვეტილების მიღების, ისე დასწავლის თეორია აღწერს ადამიანის პროსოციალური ქცევის განხორციელების საფეხურებს.
- (გ) სოციო-კულტურული მიდგომა სოციალური ნორმებით განსაზღვრავს დახმარების ქცევას, ატრიბუციის თეორია კი აზუსტებს დახმარების გაწევის პირობებს.
- (დ) გადაწყვეტილების მიღებისა და ატრიბუციის თეორიები პროსოციალური ქცევის განხორციელების გადაწყვეტილების მიღების პროცესს აღწერს.
- (ე) სოციო-კულტურული მიდგომისა და დასწავლის თეორიის მიხედვით, პროსოციალური ქცევა შეძენილ, დასწავლილ ქცევას წარმოადგენს.

ტექსტი A	შეკითხვა 1	შეკითხვა 2	შეკითხვა 3	შეკითხვა 4	შეკითხვა 5	შეკითხვა 6	შეკითხვა 7
----------	------------	------------	------------	------------	------------	------------	------------

5. ადამიანს, რომელმაც სამუშაოს შესრულებისას ბევრად მეტი ანაზღაურება მიიღო, ვიდრე ეკუთვნოდა, უჩნდება ხოლმე სურვილი, ის გაუნაწილოს მეორე ადამიანს, რომელმაც იმავე სამუშაოს შესრულებისას ნაკლები ანაზღაურება მიიღო.

რომელი მიდგომით აიხსნება ეს მოვლენა ყველაზე უკეთ?

- (ა) სოციო-კულტურული მიდგომის პირველი ნორმით
- (ბ) სოციო-კულტურული მიდგომის მეორე ნორმით
- (გ) სოციო-კულტურული მიდგომის მესამე ნორმით
- (დ) ატრიბუციის თეორიით
- (ე) გადაწყვეტილების მიღების თეორიით

ტექსტი A	შეკითხვა 1	შეკითხვა 2	შეკითხვა 3	შეკითხვა 4	შეკითხვა 5	შეკითხვა 6	შეკითხვა 7
----------	------------	------------	------------	------------	------------	------------	------------

6. ადამიანი დახმარების ქცევის განხორციელებისას თავის თავს უსვამს შეკითხვებს:

- A. როგორ დავეხმარო?
- B. საჭიროა თუ არა დახმარება?
- C. არის თუ არა დახმარების გაწევა ჩემი პასუხისმგებლობა?
- D. მიღირს თუ არა დახმარების გაწევა?

შეკითხვების რომელი თანამიმდევრობაა სწორი დახმარების გადაწყვეტილების თეორიის მიხედვით?

- (ა) A B C D
- (ბ) B C D A
- (გ) C A D B
- (დ) B A D C
- (ე) C D B A

ტექსტი A	შეკითხვა 1	შეკითხვა 2	შეკითხვა 3	შეკითხვა 4	შეკითხვა 5	შეკითხვა 6	შეკითხვა 7
----------	------------	------------	------------	------------	------------	------------	------------

7. ჩამოთვლილთაგან რომელი მოსაზრება არ დასტურდება ტექსტში?

- (ა) პროსოციალური ქცევის გადაწყვეტილების მიღებისას, ადამიანი ფიქრობს დახმარების გაწევისა თუ არგაწევის „სარგებლიანობაზე“.
- (ბ) როდესაც ადამიანი პირად პასუხისმგებლობას გრძნობს, ის უფრო მეტად ცდილობს სხვისთვის დახმარების გაწევას.
- (გ) ბავშვის პროსოციალურ ქცევას უფრო ხშირად გარეგანი სტიმულები განსაზღვრავს, ზრდასრული ადამიანის შემთხვევაში კი უფრო მნიშვნელოვანია შინაგანი სტანდარტები.
- (დ) მეგობრებზე შთაბეჭდილების მოხდენის მიზნით საქველმოქმედო აქციაში მონაწილეობა ალტრუისტული ქცევაა.
- (ე) დახმარების გაწევის გადაწყვეტილება წინ უძღვის პროსოციალური ქცევის განხორციელებას.

ტექსტი A	შეკითხვა 1	შეკითხვა 2	შეკითხვა 3	შეკითხვა 4	შეკითხვა 5	შეკითხვა 6	შეკითხვა 7
----------	------------	------------	------------	------------	------------	------------	------------

ტექსტი B

- I ამა თუ იმ ეპოქის ფილოსოფიის ისტორიის შესწავლისას აუცილებელია ფილოსოფიის ისეთი განსაზღვრების შემუშავება, რომელიც შეესაბამება კონკრეტული ეპოქის აზროვნებას. ზოგიერთი ფილოსოფოსისათვის ეს აზრი, შესაძლოა, მიუღებელია, მაგრამ ძველ ბერძენ ფილოსოფოსთა ნააზრევის განსახილველად მოსახერხებელია. ანტიკური ეპოქის ფილოსოფია ორი ძირითადი მიმართულებით ვითარდებოდა, საბოლოო ჩამოყალიბებასთან ერთად კი მესამე მიმართულებაც გამოიკვეთა.
- II პირველია **სპეკულატიური**, ანუ **მეცნიერული** მიმართულება. ეს არის ადამიანის მცდელობა, ახსნას უნივერსუმი, რომელშიც ის ცხოვრობს, ჩაწვდეს მაკროკოსმოსის საიდუმლოებას. საბუნებისმეტყველო დისციპლინები უკვე დიდი ხანია განვითარდა და გამოეყო ფილოსოფიას; მაგრამ აქ საუბარია ნატურფილოსოფიის ეპოქაზე, როდესაც მეცნიერება და ფილოსოფია ჯერ „ბავშვობის ასაკს“ არ გასცილებია და მათ შორის მიჯნა არ არსებობს.
- III მეორე მიმართულება, **პრაქტიკული**, ეთიკასა და პოლიტიკას მოიცავს. ფილოსოფიის ეს მიმართულება თავად ადამიანის, მიკროკოსმოსის, მისი ბუნებისა და სამყაროში მისი ადგილის, სხვა ადამიანებისადმი მისი მიმართების შესახებაა. ამგვარი რეფლექსიის მოტივი, უნივერსუმის ბუნებაზე სპეკულაციისაგან განსხვავებით, ჩვეულებრივ წმინდა ცნობისწადილი აღარ არის, მას ამოძრავებს პრაქტიკული მოთხოვნილება, გაარკვიოს, რა გზით შეიძლება ადამიანის ცხოვრებისა და მისი ქცევის სრულყოფა, მორალის დახვეწა.
- IV ქრონოლოგიურად ძველ საბერძნეთში ფილოსოფიის პირველი მიმდინარეობა მეორეზე ადრე წარმოიშვა. ამ საკითხთან დაკავშირებით ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ, ერთი მხრივ, ადამიანის ცხოვრებისა და ქცევის ეპიზოდური გააზრებანი და, მეორე მხრივ, მორალის ფილოსოფია. ჰესიოდეს, სოლონისა და თეოგნიდეს ანდაზებითა და აფორიზმებით აღსავსე პოეზია წინ უსწრებს ძვ. წ. მე-6 საუკუნის იონიაში წარმოშობილ ნატურფილოსოფიას. ხოლო ის, რასაც ადამიანური ქცევის ფილოსოფია შეიძლება ეწოდოს, დასაბამს მხოლოდ ძვ. წ. მე-5 საუკუნის ბოლოდან იღებს, კერძოდ, სოფისტებსა და სოკრატესთან, მას შემდეგ, რაც ნატურფილოსოფიით გატაცების პირველი ტალღა უკვე გადავლილია.

ტექსტის გაგრძელება ->

ტექსტი B	შეკითხვა 8	შეკითხვა 9	შეკითხვა 10	შეკითხვა 11	შეკითხვა 12	შეკითხვა 13
----------	------------	------------	-------------	-------------	-------------	-------------

V „მოწიფულ ასაკს“ მიღწეული ფილოსოფია მესამე მიმართულებას ავითარებს. ეს არის **კრიტიკული ფილოსოფია**, რომელიც შეიცავს ლოგიკასა და ეპისტემოლოგიას, ანუ შემეცნების თეორიას. მხოლოდ აზროვნების განვითარების შედარებით მაღალ საფეხურზე უსვამს ადამიანი თავის თავს კითხვებს იმ საშუალებათა ქმედითობაზე, რომლებითაც ის ბუნებამ აღჭურვა გარესამყაროსთან კონტაქტის დასამყარებლად. რაზეა ადამიანის ცოდნა დაფუძნებული? ჩვენ ვიცით, რომ ხანდახან შეგრძნებებმა შეიძლება შეგვაცდინოს, გვაქვს კი რაიმე საბუთი იმისა, რომ მათი საშუალებით ვწვდებით რეალობას? რამდენად სწორად მიმდინარეობს ჩვენი შემეცნების პროცესები? ამ საკითხებს შეისწავლის კრიტიკული ფილოსოფია, რომელიც თავის ობიექტად აზროვნებას ირჩევს. ეს არის თვითცნობიერების დონემდე მისული ფილოსოფია; მისკენ გზა გაკვალულია, როცა ფილოსოფოსი ეჭვს შეიტანს თავის შეგრძნებათა მონაცემებში.

VI ზოგიერთი ფილოსოფოსი ფილოსოფიის პირველი ორი მიმდინარეობით თანაბრად არის დაინტერესებული და ცდილობს ისინი მთლიან, ინტეგრალურ სისტემაში გააერთიანოს. უმეტესწილად კი მოაზროვნეებს ამ ორი მიმდინარეობიდან ერთ-ერთი იზიდავს. მაგალითად, სოკრატეს უფრო ქცევის სფერო აინტერესებდა, ანაქსაგორა კი კოსმიური სპეკულაციებით იყო გატაცებული.

VII როგორც წესი, ამა თუ იმ ეპოქის აზროვნება სამი მიმართულებიდან უპირატესობას, ძირითადად, ერთ-ერთს ანიჭებს; ეს არჩევანი, უმეტესწილად, საზოგადოების მდგომარეობით არის განსაზღვრული, ფილოსოფოსებს კი თავიანთი აზრები ჰაერიდან არ მოაქვთ.

ტექსტი B	შეკითხვა 8	შეკითხვა 9	შეკითხვა 10	შეკითხვა 11	შეკითხვა 12	შეკითხვა 13
----------	------------	------------	-------------	-------------	-------------	-------------

8. ავტორის მთავარი მიზანია,

- (ა) განსაზღვროს ანტიკური ფილოსოფიის როლი ფილოსოფიის განვითარების ისტორიაში.
- (ბ) წარმოაჩინოს ანტიკური ფილოსოფიის მიმართულებათა სპეციფიკა და ქრონოლოგია.
- (გ) წარმოაჩინოს საზოგადოებაში მიმდინარე პროცესების ზეგავლენა ფილოსოფიაზე.
- (დ) გააანალიზოს ფილოსოფიის სხვადასხვა მიმართულების წარმოშობის მიზეზები.
- (ე) დაასაბუთოს ფილოსოფიის სპეციფიკური განსაზღვრების შემუშავების აუცილებლობა.

ტექსტი B	შეკითხვა 8	შეკითხვა 9	შეკითხვა 10	შეკითხვა 11	შეკითხვა 12	შეკითხვა 13
----------	------------	------------	-------------	-------------	-------------	-------------

9. ანტიკური ფილოსოფიის მიმართულებათა შესწავლის საგანზე გამოთქმულ მოსაზრებათაგან მართებულია:

- I. სპეკულატური ფილოსოფიის შესწავლის საგანი არის გარე სამყარო.
- II. პრაქტიკული ფილოსოფიის შესწავლის საგანი არის ადამიანის ქცევა, მორალი.
- III. კრიტიკული ფილოსოფიის შესწავლის საგანი არის აზროვნება.

- (ა) მხოლოდ I
- (ბ) მხოლოდ I და II
- (გ) მხოლოდ I და III
- (დ) მხოლოდ II და III
- (ე) სამივე

ტექსტი B	შეკითხვა 8	შეკითხვა 9	შეკითხვა 10	შეკითხვა 11	შეკითხვა 12	შეკითხვა 13
----------	------------	------------	-------------	-------------	-------------	-------------

10. ანტიკური ფილოსოფიის მკვლევრის, გათრის შენიშვნით:

„მხატვრულ აზროვნებაში აღმოცენებული მორალური რეფლექსია წინ უსწრებს ბუნების შესწავლას, მაშინ, როდესაც მორალის სრულყოფის პრაქტიკული მოთხოვნილება მხოლოდ მოგვიანებით, სპეკულატური მიმართულების შემდეგ ჩნდება“.

რომელ აზრს უკავშირდება ეს შენიშვნა?

- (ა) I და II
- (ბ) მხოლოდ III
- (გ) მხოლოდ IV
- (დ) მხოლოდ V
- (ე) მხოლოდ V და VI

ტექსტი B	შეკითხვა 8	შეკითხვა 9	შეკითხვა 10	შეკითხვა 11	შეკითხვა 12	შეკითხვა 13
----------	------------	------------	-------------	-------------	-------------	-------------

11. რამ შეუწყო ხელი ანტიკურ ეპოქაში კრიტიკული ფილოსოფიის განვითარებას?
- (ა) ანტიკური ეპოქის ფილოსოფოსთა სურვილმა, ჩაწვდომოდნენ უნივერსუმის საიდუმლოს.
 - (ბ) ადამიანის ქცევისა და მორალის შემსწავლელ ფილოსოფოსთა განსაკუთრებულმა ინტერესმა ლოგიკისა და ეპისტემოლოგიის მიმართ.
 - (გ) ნატურფილოსოფოსების მიერ წამოჭრილმა ეპისტემოლოგიურმა შეკითხვებმა.
 - (დ) ფილოსოფიური აზროვნების ასვლამ განვითარების მაღალ საფეხურზე.
 - (ე) ანტიკური ეპოქის ფილოსოფოსთა განსაკუთრებულად განვითარებულმა ცნობისწადილმა.

ტექსტი B	შეკითხვა 8	შეკითხვა 9	შეკითხვა 10	შეკითხვა 11	შეკითხვა 12	შეკითხვა 13
----------	------------	------------	-------------	-------------	-------------	-------------

12. ტექსტიდან გამომდინარე, IV აზნაცის მიხედვით მართებულია:

- (ა) მორალის ფილოსოფია ანტიკურ პოეზიაში – ჰესიოდეს, სოლონისა და თეოგნიდეს პოემებში – არის წარმოდგენილი.
- (ბ) მორალის ფილოსოფია იონიელი ფილოსოფოსების ნააზრევს ეფუძნება.
- (გ) ჰესიოდეს, სოლონისა და თეოგნიდეს პოემებში ადამიანის მორალური ქცევა ანდაზებითა და აფორიზმებით არის გადმოცემული.
- (დ) ანტიკურ სამყაროში მორალის ფილოსოფია ნატურფილოსოფიაზე უფრო მნიშვნელოვნად იყო მიჩნეული.
- (ე) ადამიანური ქცევის ფილოსოფია საფუძვლიანად არის ასახული ძვ. წ. მე-6 საუკუნის ანტიკური ეპოქის ანდაზებსა და აფორიზმებში.

ტექსტი B	შეკითხვა 8	შეკითხვა 9	შეკითხვა 10	შეკითხვა 11	შეკითხვა 12	შეკითხვა 13
----------	------------	------------	-------------	-------------	-------------	-------------

13. VII აზნაციდან გამომდინარე, რა იგულისხმება ფრაზაში: „ფილოსოფოსებს კი თავიანთი აზრები ჰაერიდან არ მოაქვთ“?

- (ა) ფილოსოფოსის არჩევანს ფილოსოფიის ერთ-ერთი მიმართულების სასარგებლოდ საზოგადოების მდგომარეობა განაპირობებს.
- (ბ) ფილოსოფოსს, როგორც წესი, არჩევანის გაკეთება უწევს ფილოსოფიის ერთ-ერთი მიმართულების სასარგებლოდ.
- (გ) ფილოსოფოსთა კონცეფციები, ძირითადად, წინამორბედ მოაზროვნეთა იდეებს ეფუძნება.
- (დ) წინამორბედ ფილოსოფოსთა გამოცდილება დიდ დახმარებას უწევს ფილოსოფიის პრაქტიკული მიმართულების წარმომადგენლებს.
- (ე) კრიტიკული ფილოსოფია ეფუძნება ფილოსოფიის სპეკულატურ და პრაქტიკულ მიმართულებებს.

ტექსტი B	შეკითხვა 8	შეკითხვა 9	შეკითხვა 10	შეკითხვა 11	შეკითხვა 12	შეკითხვა 13
----------	------------	------------	-------------	-------------	-------------	-------------

გადასვლა C ტექსტზე →

ტექსტი C

კაცობრიობის განვითარების უნივერსალურ მახასიათებლებს შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია **ურბანიზაცია** (urbs – ლათინურად *ქალაქი*). **ურბანიზაცია** ქალაქების განვითარებისა და ზრდის პროცესია. XX საუკუნის ამერიკელი ურბანისტი **მამფორდი** აღნიშნავს, რომ ქალაქი კაცობრიობის კულტურის ისტორიაში ენისა და დამწერლობის შემდეგ ადამიანის უდიდესი მონაპოვარია.

ურბანიზაციის დიდი მნიშვნელობისა და გლობალურობის შესახებ წარმოდგენის შესაქმნელად მარტივი სტატისტიკური მაჩვენებლებიც საკმარისია: თუ 1800 წლისათვის მსოფლიო მოსახლეობის მხოლოდ 3% ცხოვრობდა ქალაქში, 1900 წელს ეს რიცხვი 13%-მდე გაიზარდა, ხოლო 2000 წლისათვის – 47%-მდე; 2008 წელს კი მსოფლიოს მოსახლეობის უმეტესობა ქალაქებში აღმოჩნდა თავმოყრილი. შეიძლება ითქვას, ამიერიდან დედამიწა „ქალაქელთა პლანეტაა“.

ურბანიზაციის ტემპის დაჩქარება დაკავშირებულია ინდუსტრიალიზაციის პროცესთან, რომელიც XVIII საუკუნის მიწურულს დაიწყო დიდ ბრიტანეთსა და ევროპის სხვა ქვეყნებში. ინდუსტრიალიზაციამ დააჩქარა მასობრივი მიგრაცია სოფლიდან (რურალური დასახლებებიდან) ქალაქში. შედეგად, XX საუკუნის ბოლოს მაღალგანვითარებული ქვეყნების ქალაქების მოსახლეობა 75-80%-მდე გაიზარდა. ამერიკელი ურბანისტის **ჯეკობსის** სიტყვებით, ქალაქი მაგნიტივით იზიდავს ხალხს, რადგან იქ ადამიანი წარმატების მეტ შანსს ხედავს.

მოსახლეობის მზარდი ნაკადი ქალაქს დიდი გამოწვევების წინაშე აყენებს, როგორცაა, მაგალითად, ახლადჩამოსულების „გადადნობის“ პროცესი. განვითარებად ქვეყნებში შედარებით სუსტი ქალაქები ამას ნაკლებად ახერხებენ და ახლადჩამოსულების გაქალაქელების ნაცვლად, პირიქით, ქალაქი იძენს რურალური ყოფისათვის დამახასიათებელ ნიშნებს. ამ ფენომენს **ფსევდოურბანიზაცია** ეწოდება.

შეკითხვა – რა არის ქალაქი? – ტრივიალურად ჟღერს, თუმცა ცალსახა პასუხის გაცემა მარტივი არაა. პირველი მოსაზრებები ურბანიზაციის შესახებ ანტიკური პერიოდის ფილოსოფოსებს ეკუთვნის. **პლატონმა** ფილოსოფიური კუთხით განიხილა ქალაქის იდეალური მოდელი და ამ გარემოში ადამიანთა ურთიერთობები; **არისტოტელემ** კი იკვლია პოლისის, ქალაქის სტრუქტურა, რათა განესაზღვრა მისი მოსახლეობის ოპტიმალური რაოდენობა. VIII საუკუნის მოაზროვნის, **ისიდორე სევილიელის** მიხედვით, ქალაქი (urbs) არის არა „ქვეები“, არამედ მისი ბინადარნი, არა ნაგებობები, არამედ მოქალაქეები, ქალაქის თემი (civitas). აღორძინების ეპოქაში **ფილარეტემ** წარმოაჩინა ქალაქის ქუჩებისა და არხების სისტემათა სტრუქტურა, საცხოვრებელი შენობების სტანდარტები, ვაჭრობის ორგანიზების წესები.

ტექსტის გაგრძელება ->

ტექსტი C	შეკითხვა 14	შეკითხვა 15	შეკითხვა 16	შეკითხვა 17	შეკითხვა 18	შეკითხვა 19	შეკითხვა 20	შეკითხვა 21
----------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------

თანამედროვე ადამიანის წარმოდგენაში, სოფლისაგან განსხვავებით, ქალაქი ხალხმრავალი დასახლებაა, უფრო კომპაქტური, განსხვავებული განაშენიანებით, არქიტექტურით და ა.შ., თუმცა, ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი მაინც ცხოვრების წესია. მაგალითად, ამერიკელი მწერალი, **მეისონ კული** წერს – „ცოდნა და ძლიერება ქალაქშია, სიმშვიდე და წესიერება – სოფელში“.

არ არსებობს ორი ერთნაირი ქალაქი, მაგრამ არსებობს ქალაქების მოწყობის საერთო პრინციპები და კანონზომიერებანი. ქალაქი, უპირველეს ყოვლისა, ადამიანების ერთობლიობა, ქალაქის თემია. ის მრავალრიცხოვანი და არაერთგვაროვანი მოსახლეობის კოჰაბიტაციის, ანუ თანაცხოვრების ადგილია. ბრიტანელი ანთროპოლოგი, **მორისი** ირონიულად, თუმცა სამართლიანად აღნიშნავს: „ქალაქი ბეტონის ჯუნგლები კი არა, ადამიანთა ზოოპარკია“.

ისტორიულად ურბანული სივრცე საზოგადოების მოთხოვნების შესაბამისად ვითარდებოდა; ქალაქში ყოველთვის გამოირჩეოდა ადგილები, რომლებიც ქალაქელთა უშუალო და მრავალმხრივ ურთიერთობებს ემსახურებოდა. ანტიკურ საბერძნეთში ათენის აგორა ითავსებდა თავისუფალ ათენელთა შეხვედრების, ინფორმაციის გაცვლის, სასამართლოს, ვაჭრობისა და სხვა ფუნქციებს. ეს ტრადიცია ანტიკური რომის ფორუმმა გააგრძელა. მოგვიანებით ევროპის ქალაქებმაც გამოძებნეს ქალაქელთა უშუალო ურთიერთობის სივრცითი ფორმები. მაგალითად, პარიზში, გაზეთის გაჩენამდე, ხალხი ახალ ამბებს საერთო სივრცეში - ხიდზე განიხილავდა. ტიფლისში ინფორმაციის გაცვლის ადგილი იყო სალაყბო, რომელიც ქალაქის ცენტრში, ახლანდელ ერეკლეს მოედანზე მდებარეობდა.

ბევრი თანამედროვე ქალაქის მესვეურთა და მოქალაქეთა ნაწილისათვის ქალაქი მხოლოდ ფოლადისა და მინის ბრჭყვიალა შენობებია და არა ადამიანთა თანაცხოვრების უსაფრთხო ადგილი. ურბანიზაციის სწრაფი ტემპი იწვევს საქალაქო რესურსების (საცხოვრებელი, სამუშაო და ა. შ.) დეფიციტს, დიდი ქალაქების უმრავლესობაში ფემენებელური რაიონების გვერდით არსებობს ლატაკთა ჯურღმულები, არალეგალების უკანონო დასახლებები; რესურსების დეფიციტი კრიმინალის ზრდასაც იწვევს. დიდი ქალაქებისათვის ასევე მწვავე პრობლემაა გარემოს დაბინძურება, სატრანსპორტო საცობები და ა.შ.

ტექსტი C	შეკითხვა 14	შეკითხვა 15	შეკითხვა 16	შეკითხვა 17	შეკითხვა 18	შეკითხვა 19	შეკითხვა 20	შეკითხვა 21
----------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------

14. ავტორის მიზანია,

- (ა) ურბანიზაციასთან დაკავშირებული ტერმინების განმარტება.
- (ბ) სოფელსა და ქალაქს შორის განსხვავებების წარმოჩენა.
- (გ) ურბანიზაციის არსისა და ქალაქის მნიშვნელობის წარმოჩენა.
- (დ) ქალაქების წარმოქმნის ისტორიული წინაპირობების განხილვა.
- (ე) ურბანიზაციის შესახებ არსებული სხვადასხვა თვალსაზრისის მიმოხილვა.

ტექსტი C	შეკითხვა 14	შეკითხვა 15	შეკითხვა 16	შეკითხვა 17	შეკითხვა 18	შეკითხვა 19	შეკითხვა 20	შეკითხვა 21
----------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------

15. ჩამოთვლილთაგან ურბანული და რურალური დასახლებების არსებით, თვისებრივ განსხვავებას განაპირობებს:

- (ა) არქიტექტურის თავისებურება
- (ბ) მოსახლეობის რაოდენობა
- (გ) რესურსების განაწილების თავისებურება
- (დ) მოსახლეობის ცხოვრების წესი
- (ე) ურთიერთობის სივრცითი ფორმის თავისებურება

ტექსტი C	შეკითხვა 14	შეკითხვა 15	შეკითხვა 16	შეკითხვა 17	შეკითხვა 18	შეკითხვა 19	შეკითხვა 20	შეკითხვა 21
----------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------

16. სულხან-საბა ორბელიანმა თავის ლექსიკონში - „სიტყვის კონა“ - ქალაქი ასე განმარტა:

„თანამრავლობასა და თანასახლობასა „ქალაქ“ სახელ-ედების, ვინათგან კაცი ერთი ვერ კმა-ეყოს თავსა თვისსა, არამედ რათა შევეწუოდეთ ერთი მეორესა და სარგებელსა მივანაყოფებდეთ“.

ჩამოთვლილთაგან რომელთან არის ეს განმარტება ყველაზე ახლოს?

- (ა) არისტოტელეს განმარტებასთან
- (ბ) მამფორდის შეხედულებასთან
- (გ) მორისის შეხედულებასთან
- (დ) ისიდორე სევილიელის ხედვასთან
- (ე) ფილარეტეს ხედვასთან

ტექსტი C	შეკითხვა 14	შეკითხვა 15	შეკითხვა 16	შეკითხვა 17	შეკითხვა 18	შეკითხვა 19	შეკითხვა 20	შეკითხვა 21
----------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------

17. მხითარ სებასტაქის 1749 წელს ვენეციაში გამოცემულ სომხური ენის ლექსიკონში მოცემულია განმარტება:

„ქალაქი - უბნების სიმრავლეა, აგრეთვე ერთ ადგილას განლაგებული სხვადასხვა ნაგებობები და სასურსათო დუქნები. ქალაქი ხშირად გარშემორტყმულია გალავნით“.

ჩამოთვლილთაგან რომელთან არის ეს განმარტება ყველაზე ახლოს?

- (ა) არისტოტელეს განმარტებასთან
- (ბ) მამფორდის შეხედულებასთან
- (გ) ჯეკობსის შეხედულებასთან
- (დ) ისიდორე სევილიელის ხედვასთან
- (ე) ფილარეტეს ხედვასთან

ტექსტი C	შეკითხვა 14	შეკითხვა 15	შეკითხვა 16	შეკითხვა 17	შეკითხვა 18	შეკითხვა 19	შეკითხვა 20	შეკითხვა 21
----------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------

18. ქალაქთან დაკავშირებით გამოთქმულ მოსაზრებათაგან მართებულია:

- (ა) ქალაქის დეფინიციათა ნაწილში აქცენტი კეთდება ქალაქის ინფრასტრუქტურაზე, ხოლო ნაწილში - ქალაქის თემის თავისებურებაზე.
- (ბ) სხვადასხვა ეპოქაში ქალაქის დეფინიცია არსებითად განსხვავებული იყო.
- (გ) სხვადასხვა ეპოქის მოაზროვნეთა მოსაზრებები ქალაქის შესახებ ტექსტში წარმოდგენილია ქრონოლოგიურად.
- (დ) ქალაქი, სოფლისაგან განსხვავებით, საცხოვრებლად უსაფრთხო და მშვიდი ადგილია.
- (ე) მეცნიერთათვის მისაღები ქალაქის დეფინიცია საბოლოოდ XX საუკუნეში ჩამოყალიბდა.

ტექსტი C	შეკითხვა 14	შეკითხვა 15	შეკითხვა 16	შეკითხვა 17	შეკითხვა 18	შეკითხვა 19	შეკითხვა 20	შეკითხვა 21
----------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------

19. ტექსტის მიხედვით, ჩამოთვლილ განმარტებათაგან მართებულია:

- (ა) აგორას მთავარი დანიშნულება მოქალაქეთა სასამართლო პროცესების წარმართვა იყო.
- (ბ) ლათინური სიტყვები urbs და civitas ურთიერთსაპირისპირო ცნებებს აღნიშნავს.
- (გ) კოჰაბიტაცია ერთგვაროვანი მოსახლეობის თანაცხოვრებას ნიშნავს.
- (დ) „დედამიწა ქალაქელთა პლანეტა“ ნიშნავს ქალაქის უპირატესობას რურალურ დასახლებასთან შედარებით.
- (ე) ფსევდოურბანიზაცია არის პროცესი, რომლის დროსაც რურალური ცხოვრების წესი აისახება ქალაქის კულტურაზე.

ტექსტი C	შეკითხვა 14	შეკითხვა 15	შეკითხვა 16	შეკითხვა 17	შეკითხვა 18	შეკითხვა 19	შეკითხვა 20	შეკითხვა 21
----------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------

20. ჩამოთვლილთაგან რომელი გამომდინარეობს ტექსტიდან?

- (ა) ქალაქი კაცობრიობის უმთავრესი მონაპოვარია.
- (ბ) განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების ქალაქები განსხვავდებიან რურალური მიგრანტების „გადადნობის“ უნარით.
- (გ) ანტიკური პერიოდის ფილოსოფოსებმა დაადგინეს იდეალური ქალაქის მოსახლეობის ოპტიმალური რაოდენობა.
- (დ) თბილისის ცენტრში საღაყბოს ისეთივე მრავალფუნქციური დატვირთვა ჰქონდა, როგორიც აგორას - ათენში.
- (ე) სოფლის მაცხოვრებელთა დიდი ნაწილისათვის სოფელში დარჩენის მიზეზია რურალური გარემოსათვის დამახასიათებელი სიმშვიდე და წესიერება.

21. ჩამოთვლილ მოსაზრებათაგან ტექსტში დასტურდება:

- (ა) ქალაქები განსხვავდება მოწყობის კანონზომიერებითა და პრინციპებით.
- (ბ) სილატაკე და რესურსების დეფიციტი დამახასიათებელია ურბანული, და არა რურალური დასახლებისათვის.
- (გ) არისტოტელესა და ისიდორე სევილიელის ხედვა ქალაქის რაობის შესახებ ერთმანეთის მსგავსია.
- (დ) დიდ ქალაქებში სილატაკე და კრიმინალი ძირითადად განპირობებულია ქალაქის მესვეურთა გულგრილობით.
- (ე) მორისის აზრით, ქალაქის არსს, ძირითადად, მისი თემი განსაზღვრავს, და არა – გარეგნული სახე.

ტექსტის დასასრული

ტექსტი A

ტექსტი B

ტექსტი C

ანალიტიკური წერა (AW1)

A ტიპის ტესტი

ორი დავალება

დრო – 1 სთ 10 წთ

დავალება I – მსჯელობის ანალიზი

ქალაქის მერიამ, ახალგაზრდებში დანაშაულის პრევენციისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების მიზნით, სხვადასხვა ღონისძიება გაატარა.

A რაიონში მერიამ გახსნა კეთილმოწყობილი კლუბი, რომელშიც მუსიკის მოყვარულ ახალგაზრდებს შეუძლიათ შეკრება, რეპეტიციებისა და კონცერტების ჩატარება. ასევე, გაიხსნა სასპორტო მოედანი, სადაც ახალგაზრდები მართავენ შეჯიბრებებს გუნდური სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

B რაიონში მერიის ხელშეწყობით გაიხსნა ტრენაჟორებით აღჭურვილი სასპორტო დარბაზი, სადაც ახალგაზრდები ვარჯიშობენ ინდივიდუალურად, გარკვეული გადასახადის საფასურად. ასევე, გაიხსნა დისკოთეკა, სადაც ახალგაზრდებს გვიანობამდე შეუძლიათ გართობა.

ერთი წლის შემდეგ მერია დაინტერესდა მის მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგებით. აღმოჩნდა, რომ ამ დროისათვის, ფაქტობრივი მონაცემების თანახმად, A რაიონში ახალგაზრდებს შორის სამართალდარღვევებისა და ანტისოციალური ქცევის გამოვლენის შემთხვევები უფრო მცირე იყო, ვიდრე B-ში.

რას შეიძლება გამოეწვია A და B რაიონებში შექმნილი განსხვავებული მდგომარეობა? გაანალიზეთ, რამდენად საკმარისია ტექსტში წარმოდგენილი ინფორმაცია განხორციელებული ცვლილებებისა და მიღებული შედეგების შესაფასებლად; იმსჯელეთ, რა დამატებითი ინფორმაცია დაგჭირდებოდათ ამისათვის?

ნაწერი არ უნდა იყოს 100 სიტყვაზე ნაკლები.

დავალება II – თემა მოცემულ საკითხზე

ბავშვობის ასაკში სხვადასხვა სახის კონკურსებში მონაწილეობის მიღებასთან დაკავშირებით საზოგადოებაში განსხვავებული აზრი არსებობს. ნაწილი მიიჩნევს, რომ ეს დადებითად აისახება ბავშვის პიროვნულ განვითარებაზე, ხოლო ნაწილი უაყოფითად აფასებს ამ მოვლენას.

გამოთქვით თქვენი აზრი მოცემულ საკითხთან დაკავშირებით; თქვენი პოზიციის დასასაბუთებლად მოიყვანეთ არგუმენტები და მაგალითები.

ნაწერი არ უნდა იყოს 100 სიტყვაზე ნაკლები.

ლოგიკური მსჯელობა და რაოდენობრივი მსჯელობა

დღეს გამოცდა ჩატარდება ლოგიკურ მსჯელობასა და რაოდენობრივ მსჯელობაში.

1. ლოგიკური მსჯელობის ნაწილი შედგება 17 ტესტური დავალებისაგან.
ტესტის ამ ნაწილის მაქსიმალური ქულაა 17.
ტესტის ამ ნაწილის შესასრულებლად გეძლევათ 1 საათი და 10 წუთი.
2. რაოდენობრივი მსჯელობის ნაწილი შედგება 20 დავალებისაგან.
ტესტის ამ ნაწილის მაქსიმალური ქულაა 20.
ტესტის ამ ნაწილის შესასრულებლად გეძლევათ 1 საათი და 15 წუთი.

სწორი პასუხის გაცემისათვის იწერება 1 ქულა.

თუ არცერთი პასუხი არ არის მონიშნული, იწერება 0 ქულა.

არასწორი პასუხისათვის აკლდება 0,2 ქულა (ანუ იწერება -0,2 ქულა).

გისურვებთ წარმატებას!

ლოგიკური მსჯელობა

A ტიპის ტესტი

17 ამოცანა

დრო – 1 სთ 10 წთ

ამოცანა 1.

მოცემულია წინადადება:

„არც ხვიჩა იყო ეგვიპტელი და არც გოჩა – ვენეციელი.“

ჩამოთვლილთაგან რომელი არ ეწინააღმდეგება მოცემულს?

- (ა) ხვიჩა ეგვიპტელი იყო, ხოლო გოჩა არ იყო ვენეციელი.
- (ბ) ხვიჩა ეგვიპტელი იყო, ხოლო გოჩა – ვენეციელი.
- (გ) ხვიჩა ვენეციელი იყო, ხოლო გოჩა – ეგვიპტელი.
- (დ) ხვიჩა ეგვიპტელი არ იყო, ხოლო გოჩა ვენეციელი იყო.
- (ე) ხვიჩაც და გოჩაც ვენეციელები იყვნენ.

ამოცანა 2.

მოცემულია პირობები:

- ყოველი ხერხემლიანი არის ქორდიანი.
- არცერთი ქორდიანი არ არის ანთროპოდი.

ჩამოთვლილთაგან რომელი გამომდინარეობს ამ პირობებიდან?

- (ა) ყველა ანთროპოდი ხერხემლიანია.
- (ბ) ზოგიერთი ქორდიანი არ არის ხერხემლიანი.
- (გ) არცერთი ქორდიანი არ არის ხერხემლიანი.
- (დ) არცერთი ანთროპოდი არ არის ხერხემლიანი.
- (ე) ზოგიერთი ხერხემლიანი ანთროპოდია.

ამოცანა 3.

ერთ მწკრივში განლაგებულ ჩარჩოებში (იხ. სურათი) A, B, C, D, E, F და G ფოტოები უნდა განთავსდეს შემდეგი პირობების დაცვით:

- A და B ფოტო უშუალოდ ერთმანეთის გვერდით უნდა განთავსდეს.
- C და D ფოტო უშუალოდ ერთმანეთის გვერდით უნდა განთავსდეს.
- E და F ფოტო უშუალოდ ერთმანეთის გვერდით უნდა განთავსდეს.
- G ფოტო არ უნდა განთავსდეს კიდურა (1-ელ, მე-7) ჩარჩოში.

რომელია იმ ჩარჩოების ნომრების სრული ჩამონათვალი, რომლებშიც შეიძლება განთავსდეს G ფოტო?

(ა) 4

(ბ) 3, 5

(გ) 3, 4, 5

(დ) 2, 4, 6

(ე) 2, 3, 4, 5, 6



ამოცანა 4.

ექსპერტის შეფასებით „იდეალმოტორსი“ უზადო რეპუტაციის მქონეა წლების განმავლობაში. მას თავისი ისტორიის მანძილზე ათეულობით სხვადასხვა მოდელის ავტომანქანა აქვს წარმოებული და თითოეული თავისი ეპოქის ინჟინრულ შედეგს წარმოადგენს. შესაბამისად, ექსპერტი ასკვნის, რომ მოდელი, რომლის პრეზენტაციასაც „იდეალმოტორსი“ ჟენევის მომდევნო საერთაშორისო ავტოშოუზე გეგმავს, ასევე ინჟინრული შედეგრი იქნება.

ჩამოთვლილთაგან რომელშია გამოკვეთილი ექსპერტის მსჯელობის ძირითადი ხარვეზი?

- (ა) ის არ ითვალისწინებს კომპანიის მიერ განვლილ გზას და მის რეპუტაციას.
- (ბ) ის ეყრდნობა დაშვებას, რომ რეპუტაცია წლების განმავლობაში შეიძლება შეიცვალოს.
- (გ) ის მხედველობაში არ იღებს ფაქტს, რომ ჟენევის საერთაშორისო ავტოშოუზე წარმოდგენილი მანქანების მხოლოდ მცირე ნაწილი წარმოადგენს ინჟინრულ შედეგს.
- (დ) ის გულისხმობს, რომ წარსულის გამოცდილება ყოველთვის განსაზღვრავს მომავალ წარმატებას.
- (ე) ის ეწინააღმდეგება იმ მოსაზრებას, რომ ცუდ კომპანიებსაც შეუძლიათ შედეგების წარმოება.

ამოცანა 5.

დღევანდელი თარიღი 21.07.2017 ისეთია, რომ მის ჩანაწერში შემავალი ყოველი ციფრი ამ ჩანაწერში ორჯერ გვხვდება. რომელ უახლოეს თვეში იქნება კიდევ ასეთი თვისების მქონე თარიღი?

- (ა) აგვისტოში
- (ბ) სექტემბერში
- (გ) ოქტომბერში
- (დ) ნოემბერში
- (ე) დეკემბერში

ამოცანა 6.

მწვერვალის ცალ-ცალკე დალაშქვრას ცდილობს 2 ალპინისტი: **აროდი და ბეილი**. 6-მა მაყურებელმა შემდეგი ვარაუდი გამოთქვა:

I მაყურებელი: აროდი მწვერვალს დალაშქრავს.

II მაყურებელი: აროდი მწვერვალს ვერ დალაშქრავს.

III მაყურებელი: ბეილი მწვერვალს დალაშქრავს.

IV, V და VI მაყურებლები: ბეილი მწვერვალს ვერ დალაშქრავს.

აღმოჩნდა, რომ მათგან **მხოლოდ 4 მაყურებლის ვარაუდი გამართლდა**.

ჩამოთვლილთაგან რომელი დასკვნა გამომდინარეობს მოცემულობიდან?

(ა) აროდმაც და ბეილმაც მწვერვალი დალაშქრეს.

(ბ) აროდმა დალაშქრა მწვერვალი, ხოლო ბეილმა ვერ დალაშქრა.

(გ) ვერც აროდმა დალაშქრა მწვერვალი და ვერც ბეილმა.

(დ) აროდმა დალაშქრა მწვერვალი, ხოლო ბეილმა შეიძლება დალაშქრა, შეიძლება ვერ დალაშქრა.

(ე) ბეილმა ვერ დალაშქრა მწვერვალი, ხოლო აროდმა შეიძლება დალაშქრა, შეიძლება ვერ დალაშქრა.

ამოცანა 7.

მოცემულია:

- ვინც ჩვენი მომხრე არ არის, ჩვენი მოწინააღმდეგეა.
- ვინც მხარს არ უჭერს ინიციატივას, ჩვენი მოწინააღმდეგეა.
- თითოეული დელეგატი ან უჭერს მხარს ინიციატივას, ან არ უჭერს.
- ზოგიერთი დელეგატი ჩვენი მომხრეა, ზოგიერთი კი – ჩვენი მოწინააღმდეგე.

ჩამოთვლილთაგან რომელი არ გამომდინარეობს მოცემულობიდან?

- (ა) თუ დელეგატი ინიციატივას მხარს არ უჭერს, მაშინ ის ჩვენი მოწინააღმდეგეა.
- (ბ) ჩვენი მომხრე ყველა დელეგატი მხარს უჭერს ინიციატივას.
- (გ) ზოგიერთი ჩვენი მოწინააღმდეგე დელეგატია.
- (დ) თუ დელეგატი ჩვენი მოწინააღმდეგეა, მაშინ ის ინიციატივას მხარს არ უჭერს.
- (ე) თუ ჩვენი მომხრე არ არის დელეგატი, მაშინ ის მხარს უჭერს ინიციატივას.

ამოცანა 8.

აქტივისტი:

- მარტორქების რქების არალეგალური, თუმცა სარფიანი ვაჭრობის გამო, ამ ცხოველების პოპულაცია გადაშენების პირასაა. შესაბამისად, ამ სახეობის გადასარჩენად მიზანშეწონილია მათთვის პერიოდულად რქების მოხერხვა, რაც მათი მონადირების მოტივაციას გააქრობს.

ჩამოთვლილთაგან რომელი გარემოება უფრო გაამყარებს მოსაზრებას, რომ აქტივისტის მიერ შეთავაზებული გამოსავალი შედეგიანი იქნება?

- (ა) ბევრი ბრაკონიერი, რომელიც მარტორქებზე ნადირობას შეწყვეტს, სხვა ცხოველების რქებზე ნადირობას არ დაიწყებს.
- (ბ) რქამოხერხილი მარტორქების დიდი ნაწილი მაინც შეძლებს გამრავლებას.
- (გ) ბრაკონიერები ზოგჯერ ხოცავენ ისეთ მარტორქებსაც, რომლებსაც რქა ჯერ არც აქვთ.
- (დ) მარტორქებისთვის რქების პერიოდულად მოხერხვის შემთხვევაში რქებზე მოთხოვნა არ შემცირდება.
- (ე) რქამოხერხილი მარტორქები ვერ ახერხებენ თავის დაცვას მტაცებლებისაგან.

ამოცანა 9.

ცხრილში მოცემულია ინფორმაცია ხუთი სტუდენტის ურთიერთნაცნობობის შესახებ: თუ ორი მათგანი ერთმანეთს იცნობს, მაშინ შესაბამისი სტრიქონისა და სვეტის გადაკვეთაზე „+“ ნიშანია ჩაწერილი, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ჩაწერილია „–“ ნიშანი.

	ანა	ბუკა	გიო	დეა	ეკა
ანა		+	–	+	+
ბუკა	+		+	+	–
გიო	–	+		+	+
დეა	+	+	+		–
ეკა	+	–	+	–	

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელ ორს არ ჰყავს საერთო ნაცნობი დანარჩენ სტუდენტთა შორის?

- (ა) გიოს და ეკას
- (ბ) ბუკას და გიოს
- (გ) დეას და ეკას
- (დ) ანას და ბუკას
- (ე) ანას და დეას

ამოცანები 10-11 შემდეგ მოცემულობას ეყრდნობა

მოცემულია პირობები:

- თუ სიტყვა არ შეიცავს „ს“ ასოს, მაშინ ეს სიტყვა მთავრდება „ა“ ასოზე და ეს სიტყვა არ შეიცავს „მ“ ასოს.
- თუ სიტყვა არ შეიცავს „ო“ ასოს, მაშინ ეს სიტყვა შეიცავს „ე“ ასოს.

ამოცანა 10.

ჩამოთვლილ სიტყვათაგან რომელი აკმაყოფილებს ორივე პირობას?

- (ა) რეკორდი (ბ) რემა (გ) რეპლიკა (დ) რუანდა (ე) რუბრიკა

ამოცანა 11.

ჩამოთვლილთაგან რომელია ის სიტყვა, რომლისთვისაც მოცემული ორი პირობიდან არცერთი არ სრულდება?

- (ა) რაკეტა (ბ) რამპა (გ) რეცესია (დ) რიყე (ე) რაოდენობა

ამოცანები 12-14 შემდეგ მოცემულობას ეყრდნობა

კვლევისათვის უნდა შეირჩეს 4 კომპანია. სულ კანდიდატია 8 კომპანია, რომელთა შორის 4 არის მომსახურების სფეროდან – A, b, c და d, ხოლო 4 არის წარმოების სფეროდან – W, X, Y და z. ამავედროულად, A, W, X და Y მსხვილი კომპანიებია, ხოლო b, c, d და z – მცირე.

შერჩევისას გათვალისწინებულია შემდეგი პირობები:

- უნდა შეირჩეს 2 კომპანია მომსახურების, ხოლო 2 კომპანია წარმოების სფეროდან.
- უნდა შეირჩეს 2 მსხვილი და 2 მცირე კომპანია.
- თუ არ შეირჩევა c, მაშინ შეირჩევა X.
- თუ შეირჩევა b, მაშინ არ შეირჩევა Y.

ამოცანა 12.

ჩამოთვლილთაგან რომელი შეიძლება იყოს შერჩეულ კომპანიათა სია?

- (ა) b, Y, c, W
- (ბ) b, d, W, Y
- (გ) W, X, A, d
- (დ) X, b, W, z
- (ე) c, X, d, Y

ამოცანა 13.

თუ Y არის ერთადერთი შერჩეული მსხვილი საწარმო წარმოების სფეროდან, მაშინ ჩამოთვლილთაგან რომელია ის ორი კომპანია, რომელთაგანაც არცერთი არ იქნება შერჩეული?

- (ა) b და d
- (ბ) W და c
- (გ) c და X
- (დ) A და b
- (ე) z და d

ამოცანა 14.

თუ მომსახურების სფეროს შერჩეულ კომპანიებს შორის მხოლოდ d არის მცირე, მაშინ ჩამოთვლილთაგან კომპანიების რომელი სამეული შეირჩევა აუცილებლად?

- (ა) X, Y, A
- (ბ) A, Y, z
- (გ) A, X, z
- (დ) X, Y, z
- (ე) A, z, W

ამოცანები 15-17 შემდეგ მოცემულობას ეყრდნობა

ჯამბაზს აქვს მხოლოდ სამ-სამი პერანგი, შარვალი და ჟილეტი. მათი ფერებია:

პერანგი: წითელი, მწვანე, ლურჯი

შარვალი: ნაცრისფერი, ყვითელი, თეთრი

ჟილეტი: მწვანე, ყვითელი, ცისფერი

მას ყოველდღე აქვს თითო წარმოდგენა. ყოველ წარმოდგენაზე აცვია პერანგიც, შარვალიც და ჟილეტიც და ყოველი მომდევნო წარმოდგენისთვის ის ამ სამი სამოსიდან ორს მაინც იცვლის.

ჯამბაზის შესახებ ასევე ცნობილია რომ:

- წარმოდგენაზე პერანგი, შარვალი და ჟილეტი, სამივე, ყოველთვის ერთმანეთისაგან განსხვავებული ფერისა აცვია.
- არასოდეს არ იცვამს ერთდროულად წითელი და ყვითელი ფერის სამოსს.
- არასოდეს არ იცვამს ერთდროულად ლურჯი და ცისფერი ფერის სამოსს.
- არასოდეს არ იცვამს ერთდროულად ნაცრისფერი და ყვითელი ფერის სამოსს.

ამოცანა 15.

ჩამოთვლილთაგან რომელი შეიძლება იყოს ჯამბაზის ორი მომდევნო დღის ჩაცმულობა?

- (ა)

	პერანგი	შარვალი	ჟილეტი
დღე I	წითელი	თეთრი	შავი
დღე II	მწვანე	თეთრი	ყვითელი
- (ბ)

	პერანგი	შარვალი	ჟილეტი
დღე I	მწვანე	ნაცრისფერი	ცისფერი
დღე II	მწვანე	თეთრი	ცისფერი
- (გ)

	პერანგი	შარვალი	ჟილეტი
დღე I	წითელი	ნაცრისფერი	მწვანე
დღე II	მწვანე	ნაცრისფერი	ყვითელი
- (დ)

	პერანგი	შარვალი	ჟილეტი
დღე I	ლურჯი	ყვითელი	ცისფერი
დღე II	ლურჯი	ნაცრისფერი	მწვანე
- (ე)

	პერანგი	შარვალი	ჟილეტი
დღე I	ლურჯი	თეთრი	მწვანე
დღე II	წითელი	ნაცრისფერი	მწვანე

ამოცანა 16.

ცნობილია რომ ერთ-ერთ დღეს ჯამბაზს ეცვა წითელი პერანგი, ნაცრისფერი შარვალი და ცისფერი ჟილეტი. ჩამოთვლილთაგან რომელი ფერის პერანგს ჩაიცვამდა ჯამბაზი მომდევნო დღეს, თუ ის შარვლის ფერს არ შეიცვლიდა?

- (ა) ლურჯი
- (ბ) მწვანე
- (გ) ცისფერი
- (დ) ყვითელი
- (ე) წითელი

ამოცანა 17.

ჯამბაზს რამდენიმე მომდევნო დღის განმავლობაში ჟილეტი ეცვა ფერთა შემდეგი თანამიმდევრობით:

ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი
მწვანე	მწვანე	ყვითელი

ჩამოთვლილთაგან ფერთა რომელი თანამიმდევრობით შეეძლო ჩაეცვა ამ დღეებში ჯამბაზს პერანგები?

(ა)

ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი
წითელი	ლურჯი	შავი

(ბ)

ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი
წითელი	ლურჯი	ლურჯი

(გ)

ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი
ლურჯი	წითელი	წითელი

(დ)

ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი
წითელი	მწვანე	ლურჯი

(ე)

ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი
ლურჯი	ლურჯი	წითელი








ტესტის დასასრული

რაოდენობრივი მსჯელობა (QR1) - A ტიპის ტესტი

20 ამოცანა დრო - 1 სთ 15 წთ

- ნახაზები, რომლებიც ერთვის ზოგიერთ დავალებას, შეიძლება არ იყოს შესრულებული დავალების პირობაში მითითებული ზომების ზუსტი დაცვით. ამიტომ მონაკვეთების სიგრძის ან სხვა სიდიდეების შესახებ დასკვნის გამოტანისას ნუ დაეყრდნობით ნახაზის ზომებს. ყურადღება გაამახვილეთ დავალების პირობაზე; თუ ნახაზზე მოცემული სწორი ხაზის შესახებ ამოცანის პირობაში დამატებით არაფერია ნათქვამი, მაშინ უნდა ჩათვალოთ, რომ ეს სწორი ხაზი წრფეა ან მისი ნაწილი;
- ტესტში გამოყენებულია რიცხვთა ჩაწერის მხოლოდ ათობითი პოზიციური სისტემა.

მათემატიკური აღნიშვნები და ფორმულები

1. პროცენტი: a რიცხვის $n\%$ არის $a \cdot \frac{n}{100}$; 2. ხარისხი: $a^n = \underbrace{a \cdot a \cdot \dots \cdot a}_{n-\text{ჯერ}}$; 3. სიჩქარე: $\text{სიჩქარე} = \frac{\text{მანძილი}}{\text{დრო}}$; 4. საშუალო არითმეტიკული: $\text{მონაცემთა საშუალო} = \frac{\text{მონაცემთა ჯამი}}{\text{მონაცემთა რაოდენობა}};$ 5. შემოკლებული გამრავლების ფორმულები: $(a+b)^2 = a^2 + 2ab + b^2; \quad (a+b)^3 = a^3 + 3a^2b + 3ab^2 + b^3;$ $(a-b)^2 = a^2 - 2ab + b^2; \quad (a-b)^3 = a^3 - 3a^2b + 3ab^2 - b^3;$ $(a+b)(a-b) = a^2 - b^2.$ 6. ნახაზზე კუთხე შეიძლება კუთხის გვერდებს შორის ჩასმული პატარა რკალით იყოს მონიშნული, მართი კუთხე კი — პატარა კვადრატით. ჩანაწერი: $\angle A$ აღნიშნავს A კუთხის სიდიდეს. 	7. სამკუთხედი: - სამკუთხედის კუთხეების სიდიდეთა ჯამი 180°-ის ტოლია. - პითაგორას თეორემა: მართკუთხა სამკუთხედის ჰიპოტენუზის სიგრძის კვადრატია ტოლია კათეტების სიგრძეთა კვადრატების ჯამის: $AB^2 = AC^2 + BC^2$ (იხ. ნახაზი). - სამკუთხედის ფართობი სამკუთხედის გვერდის სიგრძისა და ამ გვერდზე დაშვებული სიმაღლის ნამრავლის ნახევრის ტოლია. 8. პარალელური წრფეები: - ორი პარალელური წრფის მესამე წრფით გადაკვეთისას შიგა ჯვარედინა კუთხეები ტოლია: $\alpha = \beta$.  9. ოთხკუთხედი: - მართკუთხედის ფართობი მისი სიგრძისა და სიგანის ნამრავლის ტოლია: $S = ab$. - პარალელოგრამის ფართობი მისი გვერდის სიგრძისა და ამ გვერდზე დაშვებული სიმაღლის ნამრავლის ტოლია: $S = ah$.  	10. წრე, წრეწირი: - წრეწირის სიგრძე l მისი რადიუსის მიხედვით გამოითვლება ფორმულით: $l = 2\pi r$. r რადიუსიანი წრის ფართობი გამოითვლება ფორმულით: $S = \pi r^2$. π რიცხვი მეასედის სიზუსტით 3,14-ის ტოლია.  11. მართკუთხა პარალელებიპედი: - მართკუთხა პარალელებიპედის მოცულობა მისი სიგრძის, სიგანისა და სიმაღლის ნამრავლის ტოლია: $V = abc$.  12. ცილინდრი: ცილინდრის მოცულობა მისი ფუძის ფართობისა და სიმაღლის ნამრავლის ტოლია: $V = \pi r^2 h$. 
--	---	--

ამოცანა 1.

ორნიშნა რიცხვის ციფრთა კვადრატების ჯამი 5-ის ტოლია. რას უდრის ამ რიცხვის ციფრთა ჯამი?

(ა) 1-ს

(ბ) 2-ს

(გ) 3-ს

(დ) 4-ს

(ე) 5-ს

ამოცანა 2.

თითო მიკროავტობუსს მაქსიმუმ 12 ექსკურსანტის გადაყვანა შეუძლია. მინიმუმ რამდენი ასეთი მიკროავტობუსია საკმარისი ექსკურსანტთა 45 კაციანი ჯგუფის გადასაყვანად?

(ა) 1

(ბ) 2

(გ) 3

(დ) 4

(ე) 5

ამოცანა 3.

5 ერთნაირი ფანქარი და 1 კალმისტარი ერთად 2 ლარი ღირს. ამასთან, 1 კალმისტარის ფასი 5-ჯერ მეტია 1 ფანქრის ფასზე.

რა ღირს კალმისტარი?

- (ა) 60 თეთრი
- (ბ) 80 თეთრი
- (გ) 90 თეთრი
- (დ) 1 ლარი
- (ე) 1 ლარი და 20 თეთრი

ამოცანა 4.

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია ჭეშმარიტი?

- I. თუ სამკუთხედის რომელიმე ორი კუთხის ჯამი 90° -ზე მეტია, მაშინ ეს სამკუთხედი მახვილკუთხაა.
- II. თუ სამკუთხედის რომელიმე ორი კუთხის ჯამი 90° -ზე ნაკლებია, მაშინ ეს სამკუთხედი ბლაგვკუთხაა.
- III. თუ სამკუთხედის რომელიმე ორი კუთხის ჯამი 90° -ის ტოლია, მაშინ ეს სამკუთხედი მართკუთხაა.

- (ა) მხოლოდ II
- (ბ) მხოლოდ III
- (გ) მხოლოდ I და II
- (დ) მხოლოდ I და III
- (ე) მხოლოდ II და III

ამოცანა 5.

წრის ფართობის რა ნაწილს შეადგენს ამავე წრის იმ სექტორის ფართობი, რომლის ცენტრალური კუთხე 45° -ის ტოლია?


(ა) $\frac{1}{12}$ -ს

(ბ) $\frac{1}{10}$ -ს

(გ) $\frac{1}{9}$ -ს

(დ) $\frac{1}{8}$ -ს

(ე) $\frac{1}{6}$ -ს



ამოცანა 6.

რიგში კოტეს წინ ორჯერ მეტი ადამიანი დგას, ვიდრე კოტეს უკან. იმავე რიგში სანდროს უკან ორჯერ მეტი ადამიანი დგას, ვიდრე სანდროს წინ.

სულ მცირე რამდენი ადამიანია ამ რიგში?

(ა) 4

(ბ) 5

(გ) 6

(დ) 7

(ე) 8

ამოცანა 7.

სამხედრო მოსამსახურეთა 4 კაციანი ჯგუფიდან მზვერავებად უნდა შეირჩეს 2 სამხედრო მოსამსახურე.

ასეთი შერჩევის სულ რამდენი ერთმანეთისაგან განსხვავებული ვარიანტი არსებობს?

(ა) 4

(ბ) 6

(გ) 8

(დ) 10

(ე) 12

ამოცანა 8.

პირამიდის ფორმის სასტუმროს ყველაზე ქვედა სართულზე 14 სასტუმრო ნომერია, ხოლო ყოველ მომდევნო სართულზე 2 ნომრით ნაკლებია, ვიდრე უშუალოდ მის ქვედა სართულზე.

რამდენ სართულიანია სასტუმრო, თუ მის ყველაზე ზედა სართულზე სულ 4 ნომერია?

- (ა) 6
- (ბ) 7
- (გ) 8
- (დ) 9
- (ე) 10

ამოცანა 9.

გიორგიმ სიტყვაში „დედა“ ერთნაირი ასოები ერთნაირი ციფრებით, ხოლო განსხვავებული ასოები განსხვავებული ციფრებით ჩაანაცვლა, რის შედეგადაც 4-ნიშნა რიცხვი მიიღო.

მაქსიმუმ რისი ტოლი შეიძლება იყოს გიორგის მიერ მიღებული რიცხვის ციფრთა ჯამი?

(ა) 32

(ბ) 33

(გ) 34

(დ) 35

(ე) 36

ამოცანა 10.

მართკუთხედის პერიმეტრი 28 მ-ის ტოლია, ხოლო მისი ერთ-ერთი გვერდის სიგრძეა 4 მ.

იპოვეთ ამ მართკუთხედის ფართობი.

(ა) 10 მ^2

(ბ) 20 მ^2

(გ) 30 მ^2

(დ) 40 მ^2

(ე) 50 მ^2

ამოცანა 11.

ყოველი x და y რიცხვისათვის $x \odot y$ სიმბოლოთი აღვნიშნოთ ამ რიცხვების გაორკეცებული ნამრავლისა და მათი კვადრატების ჯამი:

$$x \odot y = 2xy + x^2 + y^2.$$

იპოვეთ $1,5 \odot 0,5$.

- (ა) 2
- (ბ) 2,5
- (გ) 3
- (დ) 3,5
- (ე) 4

ამოცანა 12.

ნახაზზე გამოსახულია ABCD რომბი. CAD კუთხე $22,5^\circ$ -ის ტოლია.

რამდენი გრადუსის ტოლია კუთხე ABC?


(ა) $67,5^\circ$ -ის

(ბ) 120° -ის

(გ) 135° -ის

(დ) 150° -ის

(ე) $157,5^\circ$ -ის



ამოცანა 13.

1-ელ ნახაზზე გამოსახულია ლურჯი ფერის საღებავით სრულად შეღებილი 4 დმ სიგრძის წიბოს მქონე კუბის ფორმის ხის ფიგურა. ეს ფიგურა (უდანაკარგოდ) დაჭრეს მართკუთხა პარალელეპიპედის ფორმის ოთხ ტოლ ფიგურად ისე, როგორც ეს მე-2 ნახაზზეა გამოსახული.

რამდენი გრამი ასეთივე საღებავი იქნება საჭირო ოთხივე ამ ფიგურის ყველა შეუღებავი ნაწილის სრულად შესაღებად, თუ 1 კვ.დმ-ის შესაღებად 1 გრამი საღებავია საჭირო?


(ა) 16

(ბ) 32


(გ) 36

(დ) 64

(ე) 80



ნახაზი 1




ნახაზი 2

ამოცანა 14.

დიაგრამაზე ნაჩვენებია იანვარ-მარტის პერიოდში ინდივიდუალური მეწარმის მიერ ყოველთვიურად მიღებული შემოსავალი და გაწეული ხარჯი (ლარებში).

ამ სამი თვის მანძილზე მთელი შემოსავლის რამდენი პროცენტი შეადგინა მეწარმის მოგებამ (ანუ, სხვაობამ მიღებულ შემოსავალსა და გაწეულ ხარჯს შორის)?

- (ა) 5%
- (ბ) 10%
- (გ) 15%
- (დ) 20%
- (ე) 25%



ამოცანა 15.


A და B პუნქტებს ერთმანეთთან სწორხაზოვანი გზა აკავშირებს. 0 სთ-ზე ამ გზაზე A პუნქტიდან B პუნქტისკენ გავიდა ველოსიპედისტი, ხოლო იმავე დროს ამავე გზაზე B პუნქტიდან A პუნქტისკენ გამოვიდა ქვეითი. ერთმანეთთან შეხვედრამდე ისინი მოძრაობდნენ შეუჩერებლად, მუდმივი სიჩქარეებით.

ნახაზზე გამოსახულია მართკუთხა საკოორდინატო სისტემა და მსხვილი წყვეტილი და უწყვეტი ხაზებით ნაჩვენები ორი გრაფიკი.

უწყვეტი ხაზი წარმოადგენს მოძრაობის დაწყებიდან პირველი 2 საათის განმავლობაში ველოსიპედისტიდან A პუნქტამდე მანძილის დროზე დამოკიდებულების გრაფიკს, ხოლო წყვეტილი ხაზი – ქვეითიდან იმავე A პუნქტამდე მანძილის დროზე დამოკიდებულების გრაფიკს.

ამ გრაფიკების მეშვეობით დაადგინეთ, მოძრაობის დაწყებიდან რამდენ საათში შეხვდებოდნენ ველოსიპედისტი და ქვეითი ერთმანეთს.

- (ა) 1,5 სთ-ში
- (ბ) 2,5 სთ-ში
- (გ) 3 სთ-ში
- (დ) 3,5 სთ-ში
- (ე) 4 სთ-ში



ამოცანა 16.

მართკუთხა საკოორდინატო სისტემაში აგებულია კვადრატი, რომლის ერთ-ერთი გვერდი საკოორდინატო სისტემის ერთ-ერთი ღერძის პარალელურია. M და N ამ კვადრატის რომელიღაც ორი წვეროა.

განვიხილოთ შემდეგი ორი პირობა:

I. M და N წერტილების შემაერთებელი მონაკვეთი საკოორდინატო სისტემის არცერთ ღერძს არ კვეთს.

II. MN მონაკვეთი ამ კვადრატის დიაგონალია.

იმისათვის რომ დავადგინოთ, კვეთს თუ არა აღნიშნული კვადრატი საკოორდინატო სისტემის რომელიმე ღერძს,

(ა) საკმარისია I პირობა, ხოლო II პირობა არ არის საკმარისი.

(ბ) საკმარისია II პირობა, ხოლო I პირობა არ არის საკმარისი.

(გ) საკმარისია I და II პირობა ერთად, მაგრამ ცალ-ცალკე არცერთი არ არის საკმარისი.

(დ) საკმარისია თითოეული პირობა ცალ-ცალკე.

(ე) ორივე პირობა ერთად არ არის საკმარისი, საჭიროა დამატებითი პირობები.

ამოცანა 17.

მთელი დადებითი სამნიშნა რიცხვის შესახებ განვიხილოთ შემდეგი ორი პირობა:

- I. ამ რიცხვის ციფრთა ჯამი 26-ის ტოლია.
- II. ეს რიცხვი კენტია.

იმისათვის რომ ვიპოვოთ ამ რიცხვის ციფრთა ნამრავლი,

- (ა) საკმარისია I პირობა, ხოლო II პირობა არ არის საკმარისი.
- (ბ) საკმარისია II პირობა, ხოლო I პირობა არ არის საკმარისი.
- (გ) საკმარისია I და II პირობა ერთად, მაგრამ ცალ-ცალკე არცერთი არ არის საკმარისი.
- (დ) საკმარისია თითოეული პირობა ცალ-ცალკე.
- (ე) ორივე პირობა ერთად არ არის საკმარისი, საჭიროა დამატებითი პირობები.

ამოცანა 18.


გვაქვს რამდენიმე ერთნაირი წონის საზამთრო და რამდენიმე ერთნაირი წონის ნესვი.

განვიხილოთ შემდეგი ორი პირობა:

- I. 4 ნესვი უფრო მეტს იწონის, ვიდრე 5 საზამთრო.
- II. 3 საზამთრო უფრო მეტს იწონის, ვიდრე 2 ნესვი.

იმისათვის, რომ დავადგინოთ რომელი იწონის მეტს, 1 საზამთრო თუ 1 ნესვი,

- (ა) საკმარისია I პირობა, ხოლო II პირობა არ არის საკმარისი.
- (ბ) საკმარისია II პირობა, ხოლო I პირობა არ არის საკმარისი.
- (გ) საკმარისია I და II პირობა ერთად, მაგრამ ცალ-ცალკე არცერთი არ არის საკმარისი.
- (დ) საკმარისია თითოეული პირობა ცალ-ცალკე.
- (ე) ორივე პირობა ერთად არ არის საკმარისი, საჭიროა დამატებითი პირობები.



ამოცანა 19.

მართკუთხა სამკუთხედის შესახებ მოცემულია ორი პირობა:

- I. ერთ-ერთი კათეტის სიგრძე 8 სმ-ის ტოლია.
- II. ჰიპოტენუზის სიგრძე 10 სმ-ის ტოლია.

იმისათვის, რომ ვიპოვოთ ამ სამკუთხედის ფართობი,

- (ა) საკმარისია I პირობა, ხოლო II პირობა არ არის საკმარისი.
- (ბ) საკმარისია II პირობა, ხოლო I პირობა არ არის საკმარისი.
- (გ) საკმარისია I და II პირობა ერთად, მაგრამ ცალ-ცალკე არცერთი არ არის საკმარისი.
- (დ) საკმარისია თითოეული პირობა ცალ-ცალკე.
- (ე) ორივე პირობა ერთად არ არის საკმარისი, საჭიროა დამატებითი პირობები.

ამოცანა 20.

საწარმოს, დაარსებიდან დღემდე, ყოველ წელს ჰქონდა გარკვეული შემოსავალი.

განვიხილოთ შემდეგი ორი პირობა:

- I. 2012 წელს საწარმოს შემოსავალი 100 000 ლარს შეადგენდა.
- II. დაწყებული 2013 წლიდან, საწარმოს შემოსავალი ყოველ წელს წინა წელთან შედარებით 100%-ით იზრდებოდა.

იმისათვის რომ დავადგინოთ, რამდენჯერ მეტი იყო საწარმოს შემოსავალი 2016 წელს 2012 წელთან შედარებით,

- (ა) საკმარისია I პირობა, ხოლო II პირობა არ არის საკმარისი.
- (ბ) საკმარისია II პირობა, ხოლო I პირობა არ არის საკმარისი.
- (გ) საკმარისია I და II პირობა ერთად, მაგრამ ცალ-ცალკე არცერთი არ არის საკმარისი.
- (დ) საკმარისია თითოეული პირობა ცალ-ცალკე.
- (ე) ორივე პირობა ერთად არ არის საკმარისი, საჭიროა დამატებითი პირობები.

ტესტის დასასრული